PDF Eraser Free

დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრი: ნინო გორგოშაძე

(თბილისი, 2022 წ.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

პროფესიულ

- [x] სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

III. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის #15117 (ცვლილება #93082 – 01/02/2022) ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - ნინო გორგოშაძე, დაევალა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში“ საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება. ამ მიზნით, 2022 წლის 4 თებერვალს შედგა ვიზიტი ქალაქ ბათუმსა და ფოთში - ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრში (სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ ფილიალი). ვიზიტამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა დღის წესრიგი. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ხელმძღვანელსა და მოდულების განმახორციელებელ პირებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს; განიხილეს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, ვერიფიკაციის მექანიზმი და სხვ.

ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.

2021 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტი. ამ წარმოების ფარგლებში, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 15 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) 15 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (45 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. ამისთვის ექსპერტებმა შეისწავლეს როგორც ბათუმის, ასევე ფოთის ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია და სამუშაო აღწერილობები; საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა; პროგრამის განხორციელების პირობები: აუდიტორიები, ადგილების რაოდენობა, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი; პროგრამის განხორციელების პირობები პრაქტიკის ობიექტებზე: მათი შესაძლებლობები (პროფილი, პროფესიულ სტუდენტთა მიღების შესაძლებლობები, „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ცოდნა).

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ მართვის პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აკადემიის ფოთის ფილიალის - „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის“ სტრუქტურას, მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სხვა საკითხებს განსაზღვრავს დებულება, რომლის შესაბამისადაც ცენტრს ჰყავს ცენტრის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ცენტრის სტრუქტურა შედგება: ადმინისტრაციული სამმართველოს, საწვრთნელი ცენტრის, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოსა და ბიბლიოთეკისგან.
ფოთის ფილიალის თანამშრომლები ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის უფროსისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ფილიალის სამმართველოს) უფროსის წინაშე. მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შერულებისას. ასევე, აკადემიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებულად ახორციელებენ ცალკეულ ქმედებებს.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში საქმისწარმოება მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მეშვეობით. ფოთის ფილიალის თანამშრომლები ჩართული არიან სისტემაში. შიდა და გარე საქმისწარმოება სრულად წარიმართება ელექტრონულად. ფოთის ფილიალის კანცელარიაზე პასუხისმგებელ პირს აქვს შესაბამისი წვდომა დეს-ზე პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციით, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად განახორციელოს დოკუმენტაციის მიღება/გაცემა/გატარება. იგი აკადემიის კანცელარიასთან ერთად მუშაობს კოორდინირებულად.
ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ბიბლიოთეკა სარგებლობს აკადემიის ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით, სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, ელექტრონული კატალოგითა და ვებგვერდით. აკადემიაში მოქმედებს ერთიანი საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზა, რომელზეც დამოუკიდებელი წვდომა აქვს ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, რომლის მართვა ხორციელდება ადგილზე ფილიალის ბიბლიოთეკის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომა. სხდომაზე განხილულ იქნა გარემოებები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროებას: ფოთის საზღვაო-საწვრთნელ ცენტრში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა პირველი მიღება განხორციელდა 2021 წელს. ამ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა განსაზღვრული იყო 30-ით. მიმდინარე წლის შერჩევის პროცესის მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. კერძოდ, დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რიცხვმა შეადგინა 47, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ მაღალ მოთხოვნაზე. ამ ეტაპზე, პროგრამაზე სწავლობს 28 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც გადანაწილებულ არიან ორ ჯგუფად. ვინაიდან პროგრამის ხანგრძლივობა არის 71 კვირა და პროფესიული სტუდენტების მიღება ხდება წელიწადში ერთხელ, ეს გამოიწვევს პროგრამის განხორციელების წყვეტას. პროფესიულ პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობას და ამასთან ერთად მის გაძლიერებას, განვითარებასა და პროფესიული მასწავლებლების უწყვეტ დასაქმებას (შენარჩუნებას). დაწესებულებას აქვს საშუალება გაზარდოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 15-ით, რაც მათ საშუალებას მისცემს ყოველ მომდევნო ჩარიცხვაზე მიიღონ მინიმუმ ერთი, 15 პროფესიული სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ <u>ხსენებულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა არ მოითხოვს დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის მობილიზებას.</u>

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა შეფასდა „შეუსაბამოდ“ სტანდარტის მოთხოვნებთან - 2.2 კომპონენტი შეფასდა „შეუსაბამოდ“. ამ წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა „სრულად შესაბამისად“. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულ შესაბამისობაში“ სტანდარტის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)

შესაბამისობის რეკომენდაციები:

1. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2020-2024 წლების პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, მიზანშეწონილია აკადემიამ განახორციელოს ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტში ცვლილება ან ცალკე შექმნილი პროფესიული განათლების სტრატეგიული გეგმა შექმნას 7 წლისთვის, როგორც ამას ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს.- **შესრულებულია. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 1 ოქტომბრის № 14/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა (2021-2027 წწ.);**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის შემუშავების და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინირებას უწევს პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - **შესრულებულია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

3. თევზსაჭერი გემის ნავიგაციის საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი ასევე არის გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის საწარმოო პრატიკის განმახორციელებელი პირი, რომლის 48-58 კვირის კვირეული დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 71-72 საათს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კანონს. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოიყვანოს დატვირთვა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და საწარმოო პრაქტიკის მოდულის განმახორციელებელ პირად დამატებით შეარჩიოს შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე პირი - **შესრულებულია.**

4. გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიაში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი აქტიურად არის ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში და შემდგომ ასევე ახდენს, შემუშავებული პროგრამის პროექტის შეფასებას, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ინტერვიუირებით ასევე ირკვევა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფში შედის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. გამომდინარე იქიდან, რომ ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს - **შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ნარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები

2.2.1.3 სასურველია, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში.

ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო აკადემია სისტემატურად ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შიდა მომზადება/გადამზადებას როგორც ინდივიდუალური კონსულტაციებით, ასევე ჯგუფური შეხვედრებით (მათ შორის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით), ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ტრენერებსა თუ ორგანიზაციებთან, რათა მოახდინოს პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება მითითებული მიმართულებებით, რომელიც დასრულდება მიმდინარე წელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.2.1.6 დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა მათი მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სსსმ პირისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირება. ამასთან, სასურველია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: <u>აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის აუცილებლობა. რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი) მე-5 პუნქტში შესატანად. პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტისა.</u>

<u>თუმცა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - ფორმა №IV -100/ა“ და მასზე სპეციალური საჭიროების მქონე პირები ვერ ჩაირიცხებიან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით N16/5. 26.11.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ფოთი, წმ. გიორგის N24 ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2. საგანმანათლებლო პროგრამები	დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება	ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		სრული
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

X. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლოპროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

   დაწესებულებამ მოითხოვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) გაზრდა 15-ით და ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობამ შეადგინა 45 პროფესიული სტუდენტი, ორ მიღებაზე. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებული მატერიალური რესურსის არსებობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. აღსანიშნავია, რომ ფოთის ფილიალში პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსი შეძენილ იქნა სწავლის დაწყებამდე და შესაბამისად, შესყიდვის პროცესი პროგრამის სწავლებისთვის ხელისშემშლელ გარემოებას არ წარმოადგენდა. ქალაქ ფოთში, დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად იყენებს:

   - A გარემოს (აუდიტორია 110), რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), დემონსტრირების ციფრული საშუალებითა და დაფით. აუდიტორიას ორ ცვლაში აქვს 30 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობა.
   - A/C გარემოს (სასწავლო/პრაქტიკული აუდიტორია 109) თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით და დაფითა და პროფესიული პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. აუდიტორიას ორ ცვლაში აქვს 30 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობა.
   - B/C გარემოს (სასწავლო/პრაქტიკული აუდიტორია 206) პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, რომელიც აღჭურვილია სიმულატორით. გარემო გამოიყენება ჯგუფური მუშაობისთვის. აქ წარმოდგენილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინვენტარი (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კომპიუტერი), დაფითა და პრინტერით. აუდიტორიას ორ ცვლაში აქვს 30 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობა.

- C გარემოს (აუდიტორია 210, 211) პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. სხვადასხვა ჩარიცხვის შემთხვევაში, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, C გარემოს ერთდროულად გამოიყენებს „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროგრამის მაქსიმუმ ორი ჯგუფი (30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში), ამიტომ არ დადგება C გარემოს გამოყენების აუცილებლობა ერთდროულად სამი ჯგუფისთვის. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული C გარემო გამოიყენება „პორტის ლოგისტიკის მენეჯმენტის, „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“, გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“, „ამწის ოპერირების“ III და IV დონის პროგრამებისთვის. გარემოს გამტარუნარიანობა შეადგენს კვირაში 60 საათს (დღეში 10 სთ, 6 სამუშაო დღე) და აღემატება ზემოაღნიშნული პროგრამების ჯამურ კვირეულ დატვირთვას. C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, გემის ხიდურის სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი სამედიცინო მულაჟებითა და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით, სამღებრო საქმის შესწავლისთვის საჭირო ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვ.
- B გარემოს, რომელიც წარმოადგენს ყველა პროფესიული პროგრამისთვის საერთო გარემოს (111, 310 და 311 აუდიტორიები). თითოეული აუდიტორია აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით (მაგიდა/სკამი/კომპიუტერი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა/სკამი/კომპიუტერი), პრინტერითა და პროექტორით. სამივე აუდიტორიას ორ ცვლაში აქვს 90 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობა. B გარემოს გამტარუნარიანობა შეადგენს კვირაში 180 საათს (ერთი B გარემო - დღეში 10 სთ, 6 სამუშაო დღე) და არ აღემატება ყველა პროგრამისთვის საჭირო ჯამური საათების რაოდენობას.

დაწესებულებას აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსი. პროგრამის ძირითადი ნაწილი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული, ხორციელდება ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. N2-ში, ხოლო პროგრამის რამდენიმე მოდულის - გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მექანიზმების ტექნიკური მომსახურეობა, რემონტი - გარკვეული პრაქტიკული კომპონენტის წვრთნებისთვის დაწესებულება იყენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
ბათუმის მისამართზე არსებულ ინფრასტრუქტურას, კერძოდ: პირადი გადარჩენის მეთოდების შესწავლისა და შესაბამისი პრაქტიკული წვრთნებისთვის შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილ აუზს, ხოლო ხანძარსაწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდების შესწავლისთვის - ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს. სასწავლებლის აუზი არის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი, რომლის ზომაა 22მX12მ და სიღრმით 3.2 მეტრია. მას გააჩნია სიმაღლიდან ხტომის პლატფორმა. შენობაში განთავსებულია სამაშველო ტივი, თერმოკოსტუმები, სამაშველო კატარღა, სამაშველო ჟილეტები, რაც მოითხოვება აღნიშნული მოდულით. შენობაში განთავსებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოსტერები და პლაკატები. ასევე, შესაბამისი სტანდარტებითაა აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სადაც განთავსებულია სხვადასხვა ტიპის ცეცხლმაქრები, წყლის მიწოდების შლანგები, ხანძარსაწინააღმდეგო ტანსაცმელი. დაწესებულება ბათუმის მისამართზე ასევე იყენებს სახარატო და საზეინკლო ვორქშოპებს, სადაც განთავსებულია პროგრამის მექანიზმების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მოდულით მოთხოვნილი საბურღი/სახარატო დაზგები და შესაბამისი აღჭურვილობა.

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს როგორც გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებს, ასევე საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს.

პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან: „ბლექ სი შიპინგი“ - გემი „სი სტარი“ - წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა; „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ - 30 პროფესიულ სტუდენტი; „ჰიდროგრაფიის სამსახური“ - 15 პროფესიული სტუდენტი. გარდა ხსენებული ხელშეკრულებებისა, აკადემიას მფლობელობაში გააჩნია საწვრთნელი გემი „კადეტი“ რომელიც ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პრაქტიკის ობიექტად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების ზემოხსენებული პარტნიორები უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საჭირო მატერიალური რესურსებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 45 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მათი რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმებულია 15 პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორის: ზოგადი მოდულის მასწავლებელი - 10, დარგობრივი მოდულის მასწავლებელი - 5. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები და შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს, აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას 2021 წლის 26 ნოემბერს შემუშავებული აქვს “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის, შრომის ანაზღაურების გაცემის“ მარეგულირებელი წესი ND 02-015-01, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მათი უფლება-მოვალეობებს. ყველა პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მასწავლებლის უფლება-მოვალეობები. პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და მათ შეფასებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებებში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებენ მასწავლებელები. ინტერვიურების დროს დაფიქსირდა, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების შიდა ტრენინგებს, საჭირო რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევას და მხარდაჭერას. თუმცა სასურველია, რომ პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა სწავლების ეფექტური მეთოდები პროფესიულ განათლებაში, შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტისა და მტკიცებულების გამოყენება, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში.

ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: <u>მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო აკადემია სისტემატურად ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შიდა მომზადება/გადამზადებას როგორც ინდივიდუალური კონსულტაციებით, ასევე ჯგუფური შეხვედრებით (მათ შორის ონლაინ პლატფორმის გამოყენებით), ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა ტრენერებსა თუ ორგანიზაციებთან, რათა მოახდინოს პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება მითითებული მიმართულებებით, რომელიც დასრულდება მიმდინარე წელს.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

დაწესებულების სენატის მიერ 2021 წლის 26 ნოემბერს დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის, შრომის ანაზღაურების გაცემის" მარეგულირებელი წესი ND 02-015-01, მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების მქონე პირი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება. ამავე მუხლში პუნქტობრივადაა გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free
ინიციირებაზე. იგი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციაში, ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში, პრაქტიკის განხორციელებაში და სხვ. დაწესებულების სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით N15/6 დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელი შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს, აქვს დარგის სპეციალისტად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მასალებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს ქ. ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკა. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები, წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა და ვიზუალურად დათვალიერდა საბიბლიოთეკო სივრცე. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

დაწესებულებას მიღებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის № 10/10 გადაწყვეტილებით. აღნიშნული წესის 22-ე მუხლი ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების საკითხს. საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო, სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესში ადაპტაციისათვის ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლა ან/და დამატებით სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით დადასტურდა მათი მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ სსსმ პირისთვის სასწავლო რესურსების ადაპტირება. ამასთან, სასურველია კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში კონკრეტულად გაითვალისწინოს სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირების შესაძლებლობა (მაგ.: მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა და ა.შ (საჭიროების შესაბამისად).

ზემოხსენებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია: <u>აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენის აუცილებლობა. რეკომენდაციის შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებების შემუშავება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 39-ე მუხლის (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი) მე-5 პუნქტში შესატანად. პროცესი დასრულდება არაუგვიანეს 2022 წლის 15 მარტისა. მარტისა. თუმცა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა - ფორმა №IV -100/ა“ და მასზე სპეციალური საჭიროების მქონე პირები ვერ ჩაირიცხებიან.</u>

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამისთვის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 6 პროფესიულ სტუდენტს. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლების სახეობებს წარმოადგენს სახელმწიფოს ვაუჩერული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამული დაფინანსება. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სასწავლო გეგმა;
- პროგრამის პროფესიულ მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის № 10/10 გადაწყვეტილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის, შრომის ანაზღაურების გაცემის მარეგულირებელი წესი ND 02-015-01;
- ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ND2-F08;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
   სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო და კალენდარული გეგმების თანახმად. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტისას შედგა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**
   ინტერვიუირებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგადად, დაწესებულებაში დამკვიდრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პრაქტიკით, სწავლება პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიული სტუდენტის მობილობის (შიდა და გარე მობილობა), მიღებული განათლების აღიარების, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის და სტატუსის შეწყვეტის მექანიზმები. ინტერვიუირებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა მაგალითად მოიყვანეს მათი ჯგუფელის შემთხვევა, როდესაც მან მიმართა დაწესებულების ადმინისტრაციას სწავლის გრაფიკის ცვლილება/მორგებასთან დაკავშირებით, სამსახურებრივი გარემოებიდან გამომდინარე. დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული სტუდენტის ინტერესი. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, დაწესებულება სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ შემადგენელი მოდულების სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს, რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მფლობელობაშია სამანქანე სიმულატორი, რომლის საშუალებით შესაძლებელია გემბანის სამანქანე განყოფილების რეალური მდგომარეობის ინსცენირება, შესაფერისი დავალებების შექმნა სხვადასხვა ქეისის გამოყენებით, რაც ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მიღწევაში. დაწესებულებას ასევე გააჩნია ინგლისური ენის ლინგოფონის კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფს ინგლისური ენის სამივე უნარის: კითხვის, მოსმენის, საუბრის შესწავლას. კაბინეტებში თვალსაჩინოებისთვის განთავსებულია სპეციალური პლაკატები და პოსტერები.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც მოიცავს ინდივიდულაური სასწავლო გეგმის შედგენას არა მარტო სსსმ პირისთვის, არამედ სტატუსშეჩერებული და მობილობით გადმოსული სტუდენტისათვისაც. მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა და განსაზღვრულია პროცესში მონაწილე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები. ამ ეტაპზე, აღნიშნულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროგრამაზე არ ირიცხება პროფესიული სტუდენტი, რომლისთვისაც საჭირო იქნებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.**

   დაწესებულება, პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორ დაწესებულებასთან: „ბლექ სი შიპინგი“ - გემი „სი სტარი“; „ფოთის საზღვაო ნავსადგური“; „ჰიდროგრაფიის სამსახური“. ხსენებულ პარტნიორებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ინტერვიურების დროს პარტნიორების მიერ დაფიქსირდა თანამშრომლობის მზაობა და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკით უზრუნველყოფა მათ საკუთრებაში არსებული გემებით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მფლობელობაშია გემი ‘კადეტი“, რომელიც ასევე გამოიყენება როგორც პრაქტიკის ობიექტი.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

   პროფესიული პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციის“ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სხვადასხვა პრაქტიკული წვრთნების განხორციელებას. დაწესებულებას პრაქტიკის ყველა ობიექტზე განთავსებული აქვს უსაფრთხოების წესები შესაბამისი პრაქტიკული წვრთნების უსაფრთხოდ განხორციელებისთვის. პრაქტიკის ხელმძღვანელები სტუდენტებს წინასწარ აცნობენ აღნიშნულ წესებს. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ სასწავლო და კალენდარული გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან და სტუდენტებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**
   დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები სასწავლო პროცესში გამოყენებამდე გადის ვალიდაციას, რათა შემოწმდეს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარე. შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციას ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი. რეგულაციაში დაწესებულებას გაწერილი აქვს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების სისტემა, ის უნდა იყოს ვალიდური, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე და სანდო. დაწესებულების რეგულაციის თანახმად, ობიექტური შეფასება უნდა იყოს სამართლიანი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. შეფასების კრიტერიუმები ცნობილი უნდა იყო პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულებას გაწერილი აქვს განმეორებითი შეფასების პროცედურა და წესი, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ მათთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების კრიტერიუმები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელების წესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც გულისხმობს: შეფასების ინსტრუმენტების შეფასებას; შეფასების პროცესის შეფასებას; შეფასების მტკიცებულებების შეფასებას. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შერჩევის მექანიზმებს (რისკების სისტემას), ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, ვერიფიკაციის პროცედურას. ვერიფიკაციამ უნდა დაადასტუროს, რომ დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და ვალიდური. ვერიფიკაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვერიფიკაციას დაწესებულება ახორციელებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ. ვიზიტისას დაწესებულებას არ ჰქონია აღნიშნულ პროგრამაზე ვერიფიკაცია ჩატარებული, რადგან სასწავლო გეგმით გათვალიწინებული პირველი ეტაპი ჯერ არ დასრულებულა. თუმცა, დაწესებულებამ წარმოადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება პროგრამაში შემავალ მოდულებზე ვერიფიკაციის განხორციელება.
ექსპერტთა მოსაზრებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელების წესი. წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება უწყისით, რომელიც ინახება უვადოდ, ხოლო შეფასების ისნტრუმენტის შესრულების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის ვადით. მტკიცებულებები კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ ერთ თვეში ნადგურდება ან გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. აქედან გამომდინარე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებული სამუშოს შესახებ ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ ხორციელდება დაწესებულების მარეგულირებელ ნორმაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად. ასევე პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის N 10/10 გადაწყვეტილებით);
- ვერიფიკაციის გეგმა;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი: 17/02/2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: